

შპს ნეოკონი
ფინანსური ანგარიშგება
2018 წელი

შპს ნეოკონი

• 2018 წლის 31 დეკემბრისათვის საქმიანობის შედეგები

	2018 წლის საანგარიშო პერიოდი ლარი	2017 საანგარიშო პერიოდი ლარი
ნეტო ამონაგები	4 553 776	4 278 205
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	4 553 776	4 278 205
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3 842 350	-2 652 272
საერთო მოგება	711 426	1 625 933
სხვა შემოსავლები	1	36 208
დასაქმებულთა ანაზღურება	-446 228	-619 710
ცვთა ამორტიზაცია	27 345	-29 429
საპროცენტო ხარჯი	22 386	-19 767
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	74 826	-96 395
სულ საოპერაციო ხარჯები	-570 783	-729 093
საოპერაციო მოგება	140 642	896 840
გაუფასურების (ხარჯი) რევენსირება		
წმინდა შემოსულობა (დანაკარგები) სავალუტო ოპერაციებიდან	7 116	108
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	133 527	896 948
მოგების გადასახადი		
მოგება (ზარალი)	133 527	896 948
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	133 527	896 948



[Handwritten signature in blue ink]

შპს ნეოკონი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
- ფული და ფულის ექვივალენტი	35 890	24 163
- სავაჭრო მოთხოვნები	437 163	297 411
- გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	96 635	15 000
მარაგები		
- სხვა მიმდინარე აქტივები	1 590 342	591 538
- სხვა არამატერიალური აქტივები	5 000	
- ძირითადი საშუალებები	109 381	117 717
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	2 274 412	1 045 529
ვალდებულებები		
- სავაჭრო ვალდებულებები	242 953	103 020
- ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	81 526	81 796
- საგადასახადო ვალდებულებები	142 185	109 535
- გამოუმუშავებელი შემოსავალი		
- მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	442 568	
- გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	456 972	63 836
- სხვა ვალდებულებები	125 662	38 325
სულ ვალდებულებები	1 491 867	396 511
საკუთრი კაპიტალი		
- საწესდებო კაპიტალი		
- საემისიო შემსავლები		
- გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	782 544	649 018
- გადაფასების რეზერვი		
- სხვა რეზერვი		
სულ საკუთრი კაპიტალი	782 544	619 018
სულ საკუთრი კაპიტალი და ვალდებულებები	2 274 412	1 045 529



[Handwritten signature in blue ink]

შპს ნეოკონის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნეოკონი შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლის 26 თებერვალს. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, კოსტავას 76. მისი ძირითადი საქმიანობა არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

კონსტანტინე ჩაჩანიძე - ფლობს საზოგადოების 100%-ს

2017 წელს საზოგადოების თანამშრომლთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 136 და 2018 წელს 157.

საზოგადოების საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილის მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი ბურძგლას 24..

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მომზადებული გამოსაქვეყნებლად პირველად.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ასევე ფაქტები და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ თავისი საკუთარი ცოდნა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საზოგადოებას არ ევალებოდა, შესაბამისად გამოსაქვეყნებლად სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება საზოგადოებას არ მოუზადებია. ამგვარად, იმის შეჯერება, ადრინდელი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებიდან ბასს-ის სტანდარტებზე გადასვლამ როგორი გავლენა მოახდინა კომპნიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე (თუმცა ფულადი ნაკადების ანგარიშგება არ მომზადებულა გამოსაქვეყნებლად), ძნელი შესაფასებელია. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე



[Handwritten signature in blue ink]

გადასვლამდე საზოგადოება აწარმოებდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლებიც გარკვეულწილად ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას იყო შორეული.

წინამდებარე ფინანსური იმფორმაცია მომზადებულია პირველადი ღირებულების საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსურ ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ამონაგების აღიარება

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, მისი ამონაგები განსზღვრულია სამშენებლო კონტრაქტებით, რომლებიც კვალიფიცირდება - ხარჯებს დამატებული ზედანდები ხარჯები და მოგება. საკონტრაქტო ამონაგები შეფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. საკონტრაქტო შემოსავლის შეფასებაზე შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სხვადასხვა განუსაზღვრელმა მოვლენამ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი პერიოდის მოვლენების შესაძლო შედეგებზე, რომლის შეფასება ხდება მისი გადამოწმების და განუსაზღვრელი ვითარების გარკვევის შემდეგ. კონტრაქტით გათვალისწინებული ამონაგების თანხა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ერთი სანაგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდამდე, მაგალითად: მენარდე და დამკვეთი შეიძლება შეთახმდნენ იმ ცვლილებებსა და მოთხოვნებზე, რომელმაც მოსალოდნელია გამოიწვიოს საკონტრაქტო ამონაგების ზრდა ან შემცირება კონტრაქტის ხელმოწერის შემდგომ პერიოდში; ცვლილებები კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოებში სხვა არაფერია, თუ არა დამკვეთის მითითება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების მასშტაბების შეცვლის შესახებ. ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს საკონტრაქტო ამონაგების ზრდა ან შემცირება, ცვლილებებში იგულისხმება კონტრაქტის სპეციფიკაციის და დიზაინის, ან კონტრაქტის მოქმედების ვადის ცვლილება, ხოლო ცვლილება საკონტრაქტო ამონაგებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია, რომ დამკვეთი დაამტკიცებს ცვლილებებს კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოებში და ამ ცვლილებების შედეგად წარმოშობილი ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული დანახარჯები

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს:

- ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო კონტრაქტებთან;
- ბ) დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებულ საერთო საქმიანობისათვის და შესაძლებელია მათი განაწილება კონკრეტულ კონტრაქტზე;
- გ) ისეთი დანახარჯებს, რომლებიც დამკვეთს საერთო წესით დაერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.



დანახარჯებს რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არის კონტრაქტთან მოიცავს:

ა) სამშენებლო ობიექტზე მომუშავეთა, მათ შორის ზედამხედველების შრომის ანაზღაურებას;

ბ) მშენებლობაზე გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ღირებულებას;

გ) მშენებლობაზე გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთას, თუმცა წარდგენილ ანგრიშგებაში ძირითადი საშუალებების ცვეთა გათვალისწინებულია საერთო დანახარჯებში რადგან შუძლებელი გახდა მათი გამოიჯვანა.

დ) ძირითადი საშუალებების და მასალების მოედანზე და მოედნიდან ტრანსპორტირების დანახარჯებს;

ე) ძირითადი საშუალებების საიჯარო ქირის დანახარჯებს;

ვ) დაპროექტების და ტექნიკურ-საინჟინრო დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონტრაქტთან;

ზ) შეცდომების გასწორების და საგარანტიო სამუშაოების სავარაუდო დანახარჯებს, მათ შორის მოსალოდნელი საგარანტიო ვალდებულობების დანახარჯებს;

თ) მესამე მხარის პრეტენზიებს.

ეს დანახარჯები შეიძლება შემცირდეს მოულოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად, რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული, მაგალითად მშენებლობის დამთავრების შემდგომ ზედმეტი მასალების, ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებულ საერთო სამიანობისათვის და შესაძლებელია მათი განაწილება კონკრეტულ კონტრაქტზე შეიძლება იყოს:

ა) დაზღვევა;

ბ) ტექნიკური უზრუნველყოფის და დაპროექტების დანახარჯები, რომლებიც კონკრეტულ კონტრაქტს არ არის პირდაპირ დაკავშირებული;

გ) სამშენებლო ზედნადებ დანახარჯებს, როგორიცაა: სამშენებლო პერსონალის საანგარიშშორებო უწყისების მომზადებისა და დამუშავების დანახარჯებს, აგრეთვე სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და სხვა.

ისეთი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებული არაა სამშენებლო კონტრაქტთან გათვალისწინებულ საქმიანობასთან და არ შეიძლება მისი განაწილება კონკრეტულ კონტრაქტზე, არ მიეკუთვნება სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებულ დანახარჯებს, ასეთი დანახარჯებია:

ა) საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები, რომელთა ანაზღაურებას არ ითვალისწინებს კონტრაქტი;

ბ) რეალიზაციის დანახარჯები;



გ) სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები, რომელთა ანაზღაურება არ არის კონტრაქტით გათვალწინებული.

დ) იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის ანარიცხები, რომლებიც არ მონაწილეობენ კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტის შესრულებაში.

როგორც კი შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტით შედეგების საიმედო შეფასება, სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება.

სამშენებლო კონტრაქტით შედეგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა პირობა:

ა) მოსალოდნელია, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოთი; და

ბ) შესაძლებელია, მოცემულ კონტრაქტთან დაკავშირებული საკონტრაქტო დანახარჯები თავისუფლად გაიმიჯნოს და მისი სიდიდე საიმედოდ განისაზღვროს, იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა კონტრაქტი მათ ანაზღაურებას.

თითქმის ყველა კონტრაქტში, ამონაგების და ხარჯების აღიარება ხდება კონტრაქტის შესრულების სტადიის შესაბამისად, რაც გულისხმობს პროპორციული შესრულების მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მეთოდის თანახმად, საკონტრაქტო ამონაგები უპირისპირდება იმ საკონტრაქტო დანახარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია კონტრაქტის შესრულების მოცემულ სტადიაში, ამგვარად ამონაგების, ხარჯების და მოგების წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

პროპორციული შესრულების მეთოდის შესაბამისად, საკონტრაქტო ამონაგების აღიარება მოგება ზარალში ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შესრულდა სამუშაო. საკონტრაქტო დანახარჯების აღიარება ხარჯების სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

2018 წელს საზოგადოებას აღებული აქვს სესხი სს თიბისი ბანკიდან, მისი მიზანი იყო ძირითადი საშუალებების შეძენა, სესხს დერიცხა ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 12,5%-ის შესაბამისად, რომელიც მიბმული არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთს (5,5%). საპროცენტო მაჩვენებელი შეიცვლება (შემცირდება/გაიზრდება) იმის შესაბამისად თუ რა მაჩვენებლით შეიცვლება რეფინანსირების განაკვეთი. პროცენტის აღიარება ხდება იმის შესაბამისად რაც განსაზღვრული არის იმ პერიოდისათვის და ის აღიარდება იმ წლის მოგება/ზარალში როდესაც მოხდა მისი გაწევა. გამომდინარე აქედან სესხის გასტუმრების ვადა არის 1 წელზე ნაკლები და შესაბამისად ის აღრიცხული იქნა, როგორც მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.



2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი (კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რაც აღიარდებოდა წლის მოგება ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავლში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახდის თანხა, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადაიხდებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მიიღებოდა მიმდინარე და გასული პერიოდისათვის დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგვრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზას და ფინანსურ ანგარიშგების მიზნისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებითათვის. საწყისი აღიარებისგან განთავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარების, გავლენას არ ახდენდა არც სააღრიცხვო, და არც დასაბეგრ მოგებაზე.

საქართველოში განხორციელებული საკანონმდლო ცვლილებების შესაბამისად კომპანიები (გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილების დივიდენდის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაში შეწყდა გადავადებული მოგების გადასახადის აღრიცხვა, არსებული ვალდებულება აღიარდა კაპიტალში, ხოლო მომავალში მოგების გადასახადი რომლის ვალდებულება წარმოიშვება დივიდენდის განაწილებისას, აღიარდება იმ პერიოდის მოგება /ზარალში როდესაც მოხდა დივიდენდის გადახდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულების თანხით. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირება, რადგან საზოგადოების მმართველობას მიაჩნია, რომ დაგროვებითი ცვეთით შემცირება რეალურად ასახავს ძირითადი საშუალებების ნარჩენ ღირებულებას და მათი გადაფასება მიზანშეწონილი არ არის.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების შემცირებული აქტივის თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 პროცენტი

ავეჯი და ინვენტარი - 20 პროცენტი



სხვა ძირითადი საშუალებები- 20 პროცენტი

მომავალში თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფას, რომლებიც ასახულია თვითღირებულებით. არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა არ წარმოებს რადგან საზოგადოების მმართველობას მიაჩნია, რომ შეძენილი პროგრამური უზრუნველყოფა არ განიცდის გაუფასურებას.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულებების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ, შეფასებული ანაზღურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდება აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურებული ზარალის აღდგენის თანხა დაუყონებლივ აღიარდება მოგება, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდითა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდე გადაანგარიშდება ახლადმიღებული პარტიისათვის.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია სამშენებლო კონტრაქტებით გათალიწინებული სამუშაოების შესრულებისათვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. მოგება საანგარიშგებო პერიოდის



ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

სხვა გრძელვადიანი აქტივები

საზოგადოებას გრძელვადიან აქტივებში აღრიცხული აქვს ლიზინგი, რომლის ხანგრძლივობა ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული არის 24 თვე. ლიზინგის მთლიანი ღირებულებით გაზრდილი არის ძირითადი საშუალებების ღირებულება და ვალდებულობა აღირიცხა გრძელვადიან ვალდებულობებში, ხოლო ყოველთვიური პროცენტი აღიარდება იმ წლის მოგება ზარალში, როდესაც ის იქნა აღრიცხული.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო მისი განაწილება დამოკიდებულია პარტნიორთა გადაწყვეტილებაზე. საანგარიშო პერიოდში მოგების განაწილებას ადგილი არ ქონია.

3. ამონაგები შემოსულობები

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავლები სამშენებლო კონტრაქტებიდან	4 553 776	4 278 205
დანახარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე	3 842 350	2 652 272
სულ ამონაგები	711 426	1 625 933

4. სხვა შემოსავალი:

სხვა შემოსავლები მოიცავს 2017 წელს სავაჭრო ვალდებულობების დათვმობისგან მიღებულ შემოსავლებს სულ 36 208 ლარს.

5. ფინანსური დანახარჯები

	2018 წელი	2017 წელი
ბანკის პროცენტი	22 386	19 767
სულ	22 886	19 767



6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წელი	2017 წელი
სავაჭრო დებიტორები	437 163	297 411
გადახდილი ავანსები	96 635	15 000
სულ	533 798	312 411

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2018 წელი	2017 წელი
საქონელი და ნედლეული	1 590 342	591 238
	1 590 342	591 238

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	სხვა	სულ
თვითღირებულება				
1 იანვარი 2018 წელი	85 785	104 886	1 957	3 244 540
შემოსვლა	4 844	2 657	11 508	370 483
გასვლა				44 305
31 დეკემბერი 2018 წელი	90 629	107 543	13 466	3 570 719
დაგროვებითი ცვეთა				
1 იანვარი 2018 წელი	17797	56 723	391	993487
წლიური ცვეთა	14566	10 163	2 614	291 136
31 დეკემბერი 2018 წელი	32363	66 887	3 006	1 264 921
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2018 წელი	58 265	40 655	10 459	2 305 797

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივად საზოგადოებას აღრიცხული აქვს პროგრამური უზრუნველყოფა შესყიდვის ღირებულებით. ცვეთა აღნიშნულ არამატერიალურ ღირებულებას არ ერიცხება რადგან საზოგადოებას მიაჩნია რომ პროგრამული უზრუნველყოფა გაუფასურებას არ განიცდის.

10. ბანკის სესხი

	2018 წელი	2017 წელი
ბანკის სესხი დაფარვა 185 დღე	250 000	0
ბანკის სესხი - დაფარვა 183დღე	149665	0
	399 665	0

ბანკის სესხი აღებული არის სს თიბისი ბანკიდან, აღებული სესხის პროცენტი შეადგენს ეფექტურ 12,5%-ს, რომლებიც მიღებული არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების განაკვეთს (5,5%) და მისი ცვლილების



(გაზრდა/შემცირება) შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება დადგენილი საპროცენტო განაკვეთი, ბანკის პროცენტის ხანგრძლივობა შეადგენს 183 185 დღეს და მისი აღების მიზნობრიობა წარმოების წარმოების სიმძლავრეების გაზრდა, სესხი ბანკიდან მოლიანდ არ იქნა ათვისებული.

ფინანსური ვალდებულებების შეწყვეტა გამიზნული არის მაშინ, როდესაც მოხდება მოლიანი ვალდებულებების გასტუმრება.

11. სავაჭრო ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 242 953 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ის შეადგენდა 103 020 ლარს, ზრდა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 139 933 ლარი.

12. კაპიტალი

საზოგადოების კაპიტალი ფორმირებული არის გაუნაწილებელი მოგების სახით და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ის შეადგენს 649 018 ლარს, რომელიც 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 782 544 ლარს. საზოგადოებაში ანგარიშგების პერიოდში დივიდენდის გაცემა არ იყო განზრახული.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტები

	2018 წელი	2017 წელი
ნაღდი ფული სალაროში	16 706	22 472
ფულადი სააქსები ბანკში	19 183	1 691
სულ ფულადი სახსრები	35 889	24 163

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია საზოგადოების დამფუძნებელთა 2019 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით.



[Handwritten signature]